

შპს მაგთიკომის მობილურ ქსელთან მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის (MVNO) სავალდებულო დაშვების შეთავაზების წინადადება („ოფერტა“)

წინამდებარე ოფერტა (შემდგომში - „ოფერტა“) შემუშავებულია შპს მაგთიკომის (შემდგომში - „მაგთიკომი“) მიერ, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში „კომისია“) 2019 წლის 31 დეკემბრის #20-9/156 „მობილური ქსელით მომსახურების საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ“ გადაწყვეტილების შესაბამისად.

წინამდებარე დოკუმენტი აყალიბებს „მაგთიკომსა“ და იმ ავტორიზებული პირის ურთიერთთანამშრომლობის პირობებს, რომელსაც სურს „მაგთიკომის“ მობილური ქსელის გამოყენებით ოპერირება, როგორც მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორს (შემდგომში - „MVNO კანდიდატი“ ან „MVNO“, „მაგთიკომთან“ ერთად მოხსენიებული, როგორც „მხარეები“), საქართველოში ბოლო მომხმარებლებისათვის მობილური ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებების მიწოდების მიზნით.

„MVNO კანდიდატის“ მიერ „ოფერტის“ პირობების მიღება/დათანხმება წარმოადგენს სამართლებრივ საფუძველს „მხარეთა“ შორის სახელშეკრულებო პირობებზე მოლაპარაკების დასაწყებად. „ოფერტა“, „MVNO ხელშეკრულებასთან“ ერთად წარმოადგენს ერთიან შეთანხმებას. „ოფერტას“ და „MVNO ხელშეკრულებას“ შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, ხელშეკრულების პირობებს ენიჭება უპირატესობა.

1. დაშვების პირობები

1.1. თუ მსურველ პირს გონივრული მოთხოვნის საფუძველზე, განზრახული აქვს გახდეს „MVNO კანდიდატი“ და მოიპოვოს დაშვება „მაგთიკომის“ მობილურ ქსელზე, „MVNO კანდიდატი“ აწარმოებს კეთილსინდისიერ მოლაპარაკებებს „მაგთიკომთან“, შესაბამისი ხელშეკრულების (შემდგომში - „MVNO ხელშეკრულების“) გასაფორმებლად, „ოფერტაში“ მითითებული პირობების შესაბამისად. მოლაპარაკებების საფუძველზე დადგინდება „მაგთიკომის“ მიერ „MVNO კანდიდატისთვის“ გასაწევ მომსახურებათა ნუსხა. ქვემოთ მოცემულია იმ მომსახურებების ჩამონათვალი, რომელსაც „მაგთიკომი“ სთავაზობს „MVNO კანდიდატს“ (და დამოკიდებულია შეთანხმებულ ტექნიკურ გადაწყვეტაზე):

- MO/MT ლოკალური ხმოვანი მომსახურება;
- MO/MT ლოკალური P2P SMS მომსახურება;
- მობილური ინტერნეტ მომსახურება (საქართველოში, გარდა M2M და IOT მომსახურებებისა);

ამ მომსახურებებთან დაკავშირებული კონკრეტული პირობები, მათ შორის, ტექნიკური გადაწყვეტა და „მხარეთა“ პასუხისმგებლობები განისაზღვრება „MVNO ხელშეკრულებით“.

1.2. პირი „MVNO კანდიდატად“ განიხილება, თუ იგი ერთობლივად აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

- უნდა იყოს „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ავტორიზებული პირი იმ მომსახურებებზე, რომლებზეც ის ითხოვს დაშვებას;
- უნდა მოქმედებდეს კეთილსინდისიერი განზრახვით და მისი მიზანი უნდა იყოს ბოლო მომხმარებლისთვის მობილური საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდება;
- მოთხოვნილი მომსახურების გასაწევად უნდა ფლობდეს ყველა აუცილებელ რესურსს, მათ შორის, შესაბამის ინფრასტრუქტურას;
- თავად ან მისი „აფილირებული პირი“¹ არ უნდა ფლობდეს საქართველოში რადიოსიხშირული სპექტრის ლიცენზიას, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას მობილური საკომუნიკაციო მომსახურების უზრუნველსაყოფად;

¹ „აფილირებული პირი“ არის პირი, რომელიც:

- ა) პირდაპირ ან არაპირდაპირ „აკონტროლებს“ „MVNO კანდიდატს“ ან „აკონტროლდება“ „MVNO კანდიდატის“ მიერ ან ასეთ პირთან ერთად არის საერთო „აკონტროლის“ ქვეშ მესამე პირის მიერ;
- ბ) პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს/მართავს „MVNO კანდიდატის“ წილს/აქციებს;
- გ) „MVNO კანდიდატთან“ დაკავშირებულია პირდაპირი ან არაპირდაპირი ეკონომიკური ინტერესით.

- უნდა ფლობდეს დადასტურებულ შესაბამის ფინანსურ რესურსებს „ოფერტი“ და „MVNO ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების უზრუნველსაყოფად;
 - უნდა ფლობდეს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის მექანიზმებს თაღლითური შემთხვევების და კიბერშეტევების ეფექტურად პრევენციის, გამოვლენისა და მათზე დროული რეაგირებისათვის;
 - არ უნდა ჰქონდეს წარდგენილი განაცხადი ვირტუალური ქსელის დაშვების მომსახურების მისაღებად საქართველოში არსებულ სხვა ავტორიზებულ პირთან ან არ უნდა სარგებლობდეს მობილური ვირტუალური ქსელის დაშვების მომსახურებით საქართველოში არსებული სხვა ავტორიზებული პირისაგან.
 - „კომისიის“ წევრი ან მისი ოჯახის წევრი არ უნდა წარმოადგენდეს „MVNO კანდიდატის“ ან მისი „აფილირებული პირის“ წილის ან აქციის მფლობელს ან არ უნდა იყოს „MVNO კანდიდატის“ ან მისი „აფილირებული პირის“ მენეჯერულ პოზიციაზე დასაქმებული პირი, ისევე როგორც „MVNO კანდიდატი“ ან მისი „აფილირებული პირი“ არ უნდა იმყოფებოდეს „კომისიის“ წევრის ან მისი ოჯახის წევრის „კონტროლის“ ქვეშ.
- 1.3. „ოფერტით“ გათვალისწინებული მომსახურებები ხელმისაწვდომი იქნება ერთობლივად (განცალკევების გარეშე) ყველა იმ ტექნოლოგიის საფუძველზე, რომელსაც ამჟამად „მაგთიკომი“ იყენებს საკუთარი ბოლო მომხმარებლებისათვის მომსახურების მისაწოდებლად (2G, 3G და 4G).
- 1.4. მობილური ტექნოლოგიების სამომავლო განვითარებებზე ან/და არსებულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ ახალ პროდუქტებზე წვდომა/დაშვება, რომლებიც „ოფერტის“ ძალაში შესვლის დღისათვის არ არის შეთავაზებული „მაგთიკომის“ მიერ, „MVNO ხელშეკრულების“ საგანს არ წარმოადგენს. რომელიმე არსებულ ტექნოლოგიაზე დაფუძნებული მომსახურების მიწოდების შეწყვეტის ან/და ტექნოლოგიის გაუქმების შემთხვევაში, „მაგთიკომი“ მინიმუმ 45 დღით ადრე წერილობით აცნობებს ამის შესახებ „MVNO“-ს.
- 1.5. „MVNO“, როგორც საერთო სარგებლობის საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორი, დამოუკიდებლად აგებს პასუხს მასზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და მის მიერ განსახორციელებელ/ განხორციელებულ ქმედებებზე.
- 1.6. საბითუმოდ მიწოდებული მომსახურების საკანონმდებლო ვალდებულებების შესრულების მენეჯმენტი (მაგალითად: მართლზომიერი გადაჭერა, საგანგებო სამსახურის ნომრების ხელმისაწვდომობა, მობილური სატელეფონო ნომრების პორტაბელურობა) წარმოადგენს „მხარეთა“ შეთანხმების საგანს და შესაძლოა აისახოს „MVNO ხელშეკრულებაში“.
- 1.7. „მაგთიკომი“ „MVNO ხელშეკრულების“ პირობებზე მოლაპარაკებას, ისევე როგორც საბითუმოდ დაშვების ტექნიკურ იმპლემენტაციას განახორციელებს ერთდროულად მხოლოდ ორ „MVNO“-სთან, ყოველ მომდევნო შემთხვევაში შესაბამისი რიგითობის დაცვით.
- 1.8. იმ შემთხვევაში, თუ „MVNO“-ს მიერ „MVNO ხელშეკრულება“-ში შეთანხმებული ფორმით ვერ ხორციელდება ტექნიკური იმპლემენტაცია თანმიმდევრული 12 თვის ვადაში, „მაგთიკომი“ იტოვებს უფლებას შეწყვიტოს „MVNO ხელშეკრულება“ ამ „MVNO“-სთან და დაიწყოს ტექნიკური იმპლემენტაცია რიგითობით შემდგომ „MVNO“-სთან.

2. განაცხადის წარდგენა საბითუმოდ დაშვებაზე

- 2.1. სახელშეკრულებო პირობების მოლაპარაკების და საბოლოოდ საბითუმოდ დაშვების მოპოვების მიზნით, „MVNO კანდიდატმა“ „ოფერტის“ ძალაში შესვლის შემდეგ, უნდა წარუდგინოს (ფიზიკურად) „მაგთიკომს“ ქართულ ენაზე შედგენილი წერილობითი განაცხადი შემდეგ მისამართზე: ა. პოლიტკოვსკაიას 7, 0186 ქ. თბილისი, საქართველო, „მაგთიკომის“ სამუშაო დღეებში (ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, უქმე დღეების გარდა) 09:00 სთ-დან - 14:00 სთ-მდე.

² „კონტროლი“, ნიშნავს პირის მიერ, პირდაპირ ან არაპირდაპირ, უფლებამოსილების ქონას მართოს საქმეები და რომელი პირიც (a) არის კომპანიის აქციების ან წილის ან ხმის უფლების მფლობელი; ან/და (b) აქვს უფლება დანიშნოს ან/და გაათავისუფლოს დირექტორები ან სხვაგვარად აკონტროლოს ხმები ასეთი კომპანიის დირექტორთა/სამეთვალყურეო საბჭოს კრებებზე; ან c) ნებისმიერი სხვა საშუალებით ან მექანიზმით გავლენა მოახდინოს კომპანიის გადაწყვეტილების ფორმირებაზე, არსებული სადამფუძნებლო ორგანიზაციული დოკუმენტებით (რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება კომპანიის წესდებით, დებულებით ან შიდაორგანიზაციული აქტებით), ასეთი კომპანიის ნებისმიერ პარტნიორთა შეთანხმებით ან ნებისმიერი სხვა დოკუმენტით, მინიჭებული ნებისმიერი უფლებამოსილების ძალით ან სხვა ნებისმიერი საშუალებით.

- 2.2. განაცხადში „MVNO კანდიდატმა“ უნდა დაადასტუროს, რომ იგი გაცნობილია „ოფერტას“ და აცხადებს უპირობო აქცეპტს მისი ყველა პირობის შესრულებაზე.
- 2.3. განაცხადი სულ მცირე უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას/დოკუმენტაციას:
- განახლებული ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
 - „MVNO კანდიდატის“ იურიდიული, ასევე ფაქტობრივი მისამართი, თუ იგი განსხვავდება იურიდიული მისამართისაგან;
 - ელექტრონული ფოსტის მისამართი და საკონტაქტო პირის ტელეფონის ნომერი;
 - ავტორიზაციის სერტიფიკატი (გაცემული „კომისიის“ მიერ);
 - საკონტაქტო პირ(ებ)ის ვინაობა (სახელი, გვარი, ელექტრონული ფოსტა, ტელეფონის ნომერი);
 - მოთხოვნილი მომსახურება, მათ შორის, რომელი კატეგორიის დაშვებას (MVNO-ს კონკრეტული კატეგორიის მითითებით³) ითხოვს;
 - მე-9 მუხლით დადგენილი მონაცემები პროგნოზის შესახებ;
 - ფინანსური და სხვა სახის ინფორმაცია, რომელიც ადასტურებს შესაბამისი რესურსების ხელმისაწვდომობის არსებობას „ოფერტაში“ მითითებული პირობების შესასრულებლად;
 - პროგრამული უზრუნველყოფებისა და მოწყობილობების დეტალური აღწერილობა, რომლებიც გამოყენებული იქნება „ოფერტაში“ მითითებული მომსახურებების შესაძენად და „მაგთიკომის“ ქსელის გამოყენებით „MVNO“-ს ბოლო მომხმარებლებზე საცალო მომსახურებების მისაწოდებლად. აღნიშნულ პროგრამულ უზრუნველყოფებსა და მოწყობილობებს უნდა გააჩნდეთ შესაბამისობის სერტიფიკატები, შესაბამისი ლიცენზიები და ტექნიკური მხარდაჭერა, „MVNO“-ს მიერ მათ მართლზომიერ გამოყენებაზე.
 - ინფორმაცია „MVNO-ს კანდიდატის“ და მისი „აფილირებული პირების“ (კომპანიების) სტრუქტურის შესახებ (რეზიდენტი და არარეზიდენტი პირების, ბენეფიციარების, მათ შორის, საბოლოო ბენეფიციარების მითითებით).
- 2.4. იმ შემთხვევაში, თუ „MVNO კანდიდატს“ ან მის „აფილირებულ პირს“ აქვს რაიმე, მათ შორის, შეუსრულებელი ფინანსური ვალდებულება „მაგთიკომის“ წინაშე, განაცხადი არ ჩაითვლება მიღებულად და „მაგთიკომს“ არ აქვს ვალდებულება განიხილოს ამგვარი განაცხადი. წინამდებარე პუნქტის მიზნებისათვის, შეუსრულებელ ფინანსურ ვალდებულებაში მოიაზრება ნებისმიერი ფულადი თანხა, რომელიც მოთხოვნილია/დარიცხულია „მაგთიკომის“ მიერ ნებისმიერი საქონლის ან მომსახურების მიწოდებისთვის და იგი არ არის ანაზღაურებული/გადახდილი.
- 2.5. იმ შემთხვევაში, თუ წარდგენილი განაცხადი ვერ დააკმაყოფილებს 2.1 - 2.4 პუნქტებით გათვალისწინებულ ან „ოფერტით“ დადგენილ სხვა მოთხოვნებს, კანდიდატს ეცნობება აღნიშნულის შესახებ. ასეთ შემთხვევაში, „MVNO კანდიდატი“ ვალდებულია გამოასწოროს შეუსაბამობები ან/და ხარვეზები „მაგთიკომის“ მიერ განსაზღვრულ ვადაში.
- 2.6. 2.5 პუნქტის თანახმად გამოვლენილი შეუსაბამობების ან/და ხარვეზების სრულად აღმოფხვრის შემთხვევაში, ასეთი განაცხადის განხილვა განახლდება. შეუსაბამობების ან/და ხარვეზების აღმოფხვრამდე (მათ შორის, არასრული/არასრულფასოვანი ინფორმაციის მოწოდების შემთხვევაში) „კომისიის“ გადაწყვეტილებით დადგენილი ხელშეკრულების გაფორმების ვადის დინება ჩერდება. იმ შემთხვევაში, თუ „MVNO კანდიდატი“ არ აღმოფხვრის შეუსაბამობებს ან/და ხარვეზებს 2.5 პუნქტით მითითებულ ვადაში, „მაგთიკომი“ უფლებამოსილია უარი უთხრას „MVNO კანდიდატს“ განაცხადის განხილვაზე.
- 2.7. პირველი და შემდგომი განაცხადებისათვის „MVNO ხელშეკრულების“ გაფორმებასთან „კომისიის“ მიერ დადგენილი განსხვავებული ვადების გათვალისწინებით, განაცხადები განხილულ იქნება შემდეგი პირობების დაცვით, კერძოდ:
- „მაგთიკომის“ მიერ პირველად განხილული იქნება „MVNO კანდიდატის“ ის განაცხადი, რომელიც წარდგენილია „ოფერტის“ ძალაში შესვლის შემდეგ უადრესი თარიღით/დროით (შემდგომში - „თავდაპირველი განაცხადი“). „თავდაპირველი განაცხადისთვის“ „MVNO ხელშეკრულების“ გაფორმების ვადა განაცხადის მიღებიდან 3 (სამი) თვე. „მაგთიკომი“ არ განიხილავს მეორე და შემდეგ განაცხადებებს იმ დრომდე, სანამ არ იქნება გაფორმებული პირველი „MVNO ხელშეკრულება“ ან „თავდაპირველი განაცხადი“ არ იქნება უარყოფილი.

³ „MVNO კანდიდატის“ მიერ, განაცხადის დარეგისტრირების შემდეგ, მოთხოვნილი MVNO-ს კატეგორიის ცვლილება განიხილება ახალ განაცხადად.

- იმ შემთხვევაში, როცა „თავდაპირველი განაცხადი „უარყოფილია, „მაგთიკომი“ განიხილავს მეორე განაცხადს და შემდგომ განაცხადებებს, „ოფერტი“ დადგენილი წესით.
- ამ პუნქტში მოცემული თანმიმდევრობა შეეხება ყველა განსახილველ განაცხადს.
- პირველი „MVNO ხელშეკრულების“ გაფორმების/ძალაში შესვლის შემდეგ, ყოველი შემდგომი განაცხადის განხილვის და „MVNO ხელშეკრულების“ გაფორმების ვადა განაცხადის წარდგენის თარიღიდან 60 დღე, „ოფერტის“ 1.7 პუნქტის გათვალისწინებით.

3. წინასახელშეკრულებო ურთიერთობები

- 3.1. განაცხადის წარმატებით წარდგენის შემთხვევაში, „მაგთიკომი“ წერილობით აცნობებს „MVNO კანდიდატს“ ამის შესახებ და უგზავნის კონფიდენციალობის ხელშეკრულებას ხელმოსაწერად. „MVNO კანდიდატი“ ვალდებულია ხელი მოაწეროს და დაუბრუნოს „მაგთიკომს“ კონფიდენციალობის ხელშეკრულება მისი მიღებიდან 5 დღის ვადაში.
- 3.2. „MVNO კანდიდატი“ ვალდებულია წარმოადგინოს საბანკო გარანტია ან/და დეპოზიტი იმ ფორმითა და მოთხოვნების/პირობების გათვალისწინებით, რომლებიც დამაკმაყოფილებელია „მაგთიკომისთვის“, თუ „მაგთიკომი“ „MVNO ხელშეკრულების“ გაფორმებამდე ვალდებული იქნება გაიღოს ხარჯი „MVNO კანდიდატის“ კონკრეტული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.
- 3.3. თუ „MVNO კანდიდატის“ მიერ შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან 10 დღის ვადაში არ იქნება წარდგენილი ამგვარი საბანკო გარანტია ან/და დეპოზიტი, „მაგთიკომი“ უფლებამოსილია შეწყვიტოს მოლაპარაკებები და „მაგთიკომი“ თავისუფლდება „MVNO ხელშეკრულების“ გაფორმების ვალდებულებისაგან.
- 3.4. იმ შემთხვევაში, თუ „MVNO ხელშეკრულების“ გაფორმებამდე მოლაპარაკებები შეწყდება „MVNO კანდიდატის“ მიზეზით და „მაგთიკომს“ გაწეული აქვს ხარჯი 3.2 პუნქტის შესაბამისად, „მაგთიკომს“ უფლება აქვს გამოიყენოს საბანკო გარანტია ან/და დეპოზიტი გაწეული ხარჯების დასაფარად.

4. მოლაპარაკებები და ხელშეკრულების გაფორმება

- 4.1. „პირველადი განაცხადის“ წარდგენის შემთხვევაში, „მხარეები“ კეთილსინდისიერად შეთანხმდებიან სახელშეკრულებო პირობებზე და გააფორმებენ „MVNO ხელშეკრულებას“ ამგვარი განაცხადის წარდგენის თარიღიდან 3 თვის ვადაში, ხოლო სხვა შემდგომი განაცხადების შემთხვევაში (პირველი „MVNO ხელშეკრულების“ გაფორმების/ძალაში შესვლის შემდგომ), მათი წარდგენიდან 60 დღის განმავლობაში, „ოფერტის“ 1.7 პუნქტის გათვალისწინებით.
- 4.2. „MVNO ხელშეკრულების“ მოლაპარაკების მიზანია „მხარეთა“ შორის არსებით პირობებზე შეთანხმება (Essentialia negotii).
- 4.3. სხვა არსებითი პირობების გარდა, „MVNO ხელშეკრულება“ მოიცავს:
 - ტექნიკური სამუშაოების განხორციელების ეტაპებსა და გრაფიკს;
 - „MVNO ხელშეკრულების“ მოქმედების ვადას, რომელიც არ შეიძლება იყოს ერთ წელზე ნაკლები;
 - მომსახურების მიწოდების დაწყების თარიღს (ვადა);
 - მინიმალური ვალდებულების ოდენობას;
 - მონაცემებს პროგნოზის შესახებ;
 - ვალდებულების შესრულებისთვის დაკავშირებულ გადახდისა და საბანკო გარანტიასთან ან/და დეპოზიტთან დაკავშირებულ პირობებს („ოფერტი“ გათვალისწინებული საბანკო გარანტია ან/და დეპოზიტი შესაძლოა მოთხოვნილ იქნას უცხოურ ვალუტაში);
- 4.4. „MVNO ხელშეკრულების“ გაფორმების წინაპირობები:
 - გადახდის საბანკო გარანტიის ან/და დეპოზიტის წარდგენა პროგნოზით განსაზღვრული მთლიანი ვალდებულების შესრულებისათვის, რომლის ოდენობაც (დეპოზიტის/საბანკო გარანტიის) არ შეიძლება იყოს 12 თვის პროგნოზის შესაბამის მაქსიმალურ მისაღებ მომსახურების ღირებულებაზე ნაკლები;
 - ინსტალაციის (იმპლემენტაციის) საფასურის გადახდა;
 - „კომისიის“ მიერ გაცემული წერილის წარდგენა, რომელიც ადასტურებს, რომ „MVNO კანდიდატი“ არის სათანადოდ ორგანიზებული ავტორიზებული პირი, მის მიმართ არ მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება, რომელიც ეხება მისი ავტორიზაციის

შეჩერებას ან გაუქმებას და იგი აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას, რათა ბოლო მომხმარებლებს მიაწოდოს მობილური საკომუნიკაციო მომსახურება;

- მობილური საკომუნიკაციო მომსახურების კომერციული გაშვებიდან 12 თვის პერიოდზე პროგნოზის შესახებ ინფორმაციის წარდგენა, რომელიც მოიცავს და არ შემოიფარგლება ფინანსური საპროგნოზო უწყისებით და მათი განმარტებებით: მოგება ზარალის უწყისი, ბალანსი, ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი და კაპიტალის მოძრაობის უწყისი;
- „ოფერტი“ 2.3 პუნქტში მითითებული პირობების შესრულება;
- სასამართლოს მიერ გაცემული ცნობის წარდგენა, რომელიც ადასტურებს, რომ „MVNO კანდიდატი“ წინააღმდეგ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის (ვალაუვალობის) საქმისწარმოება;
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული დოკუმენტის წარდგენა, რომელიც ადასტურებს, რომ „MVNO კანდიდატი“ არც ერთ ქონებას ან წილს არ ადევს ყადაღა ან სხვა ტიპის აკრძალვა;
- წერილობითი დასტური ან/და სათანადო მტკიცებულებები, რომ არ არსებობს რაიმე გარემოება, რომელმაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას „MVNO ხელშეკრულების“ გაფორმებას, მისი და „ოფერტი“ განსაზღვრული მოთხოვნების/პირობების შესრულებას.

4.5. „MVNO ხელშეკრულებით“ დადგენილი პირობების გარდა, „MVNO ხელშეკრულება“ შეიძლება შეწყდეს:

- „კომისიის“ გადაწყვეტილებით „მაგთიკომის“ მიმართ დადგენილი ვალდებულების ცვლილების/გაუქმების შემთხვევაში;
- „MVNO კანდიდატი“ მიერ „ოფერტი“ გათვალისწინებული განცხადებებისა და გარანტიების დარღვევის/უზუსტობის შემთხვევაში;
- „კომისიის“ მიერ „MVNO კანდიდატი“ ავტორიზაციის შეჩერების ან გაუქმების შემთხვევაში, რამაც შეიძლება აკრძალოს ან სხვაგვარად შეზღუდოს მობილური საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდება;
- „MVNO კანდიდატი“ წინააღმდეგ გადახდისუუნარობის (ვალაუვალობის) საქმისწარმოების დაწყების შემთხვევაში;
- „MVNO კანდიდატი“ მიერ ელექტრონული კომუნიკაციის ან კონკურენციის შესახებ კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, რამაც შეიძლება აკრძალოს ან სხვაგვარად შეზღუდოს მობილური საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდება;
- „MVNO“-ს ან მისი „აფილირებული პირის“ მიერ საქართველოში რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის (რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას მობილური საკომუნიკაციო მომსახურების უზრუნველსაყოფად) მოპოვების შემთხვევაში;
- „MVNO კანდიდატი“ მიერ წარდგენილი საბანკო გარანტიის ან/და დეპოზიტის ბათილად/მაღადაკარგულად ან ვადაგასულად მიჩნევის ან „MVNO კანდიდატი“ მიერ საბანკო გარანტიის ან/და დეპოზიტის ამ „ოფერტის“ ან „MVNO ხელშეკრულების“ პირობების შესაბამისად არ წარმოდგენის შემთხვევაში;
- „MVNO კანდიდატი“ მიერ მობილური ვირტუალური ქსელის დაშვების მომსახურებით საქართველოში არსებული სხვა ავტორიზებული პირისაგან სარგებლობისას;
- „კომისიის“ წევრი ან მისი ოჯახის წევრი გახდება „MVNO კანდიდატი“ ან მისი „აფილირებული პირის“ წილის ან აქციის მფლობელი ან დაინიშნება მენეჯერულ პოზიციაზე ან „MVNO კანდიდატი“ ან მისი „აფილირებული პირი“ მოექცევა „კომისიის“ წევრის ან მისი ოჯახის წევრის „კონტროლის“ ქვეშ.
- „MVNO“-ს მიერ „ოფერტის“ 5.5 პუნქტის დარღვევის შემთხვევაში.

4.6. „MVNO ხელშეკრულება“ შეიძლება შეწყდეს იმ შემთხვევაში, თუ „მაგთიკომი“ წყვეტს კონკრეტული მობილური საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებას მისი ბოლო მომხმარებლებისთვის ან შეწყვეტს კონკრეტულ ტექნოლოგიაზე დაფუძნებული ამგვარი მომსახურების მიწოდებას.

4.7. „MVNO კანდიდატმა“ უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია ან/და დეპოზიტი ყოველი მომდევნო წლისთვის, რომლის ოდენობაც არ შეიძლება იყოს 12 თვის პროგნოზის შესაბამის მაქსიმალურ მისაღებ მომსახურების ღირებულებაზე ნაკლები. აღნიშნული ვალდებულება უნდა შესრულდეს ყოველი წლის დაწყებამდე 90 დღით ადრე.

5. მომსახურების საფასური

- 5.1. „MVNO“-ს მიერ, „ოფერტის“ მე-2 მუხლით განსაზღვრული მომსახურებებისათვის გადასახდელი და „მხარეთა“ შორის შეთანხმებული ნებისმიერი დამატებით გასაწევი მომსახურებისათვის გათვალისწინებული საფასური წარმოადგენს „მხარეთა“ შორის მოლაპარაკების საგანს და გათვალისწინებულ იქნება „MVNO ხელშეკრულებაში“. „მაგთიკომი“ იტოვებს უფლებას „MVNO“-ს დააკისროს ნებისმიერი ისეთი დამატებითი საფასური ან გადასახდელის გადახდა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით არის დაწესებული „მაგთიკომისთვის“ და უკავშირდება „MVNO“-სთვის გასაწევ საბითუმო მომსახურებას.
- 5.2. „მაგთიკომს“ უფლება აქვს გადახედოს და ცალმხრივად შეცვალოს მომსახურების საფასური. ცვლილებები ძალაში შევა წერილობითი შეტყობინების გაგზავნიდან 45 დღის შემდეგ. მომსახურების საფასურის გადახედვის საფუძველი შესაძლოა იყოს მაგ. მობილურ საკომუნიკაციო ბაზარზე ტარიფების ცვლილება, ეროვნული ვალუტის კურსის ცვლილება, ინფლაცია და სხვა ობიექტური გარემოებები. ამასთან, მომსახურების საფასურის ცვლილების დეტალური პირობები განისაზღვრება „მხარეთა“ შორის „MVNO ხელშეკრულების“ საფუძველზე.
- 5.3. იმ შემთხვევაში, თუ „MVNO“ არ ეთანხმება 5.2 პუნქტში მითითებულ ცვლილებებს, იგი ამის შესახებ აცნობებს „მაგთიკომს“ ამგვარი შეტყობინების მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში. თუ „მხარეები“ ვერ მიაღწევენ შეთანხმებას საფასურის ცვლილებაზე, „MVNO“-ს მხრიდან ასეთი შეტყობინება ჩაითვლება „MVNO ხელშეკრულების“ შეწყვეტის ნების გამოვლენად და „მაგთიკომს“ წარმოეშობა უფლება წერილობით შეტყობინების საფუძველზე შეწყვიტოს „MVNO ხელშეკრულება“. „MVNO ხელშეკრულება“ და „MVNO ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული მომსახურების მიწოდება წყდება წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 90 დღის გასვლის შემდეგ. იმ შემთხვევაში, თუ „MVNO“ დროულად ვერ უზრუნველყოფს „მაგთიკომისთვის“ საპასუხო შეტყობინების მიწოდებას, ეს შემთხვევა მიჩნეული იქნება „MVNO“-ს მხრიდან თანხმობად „MVNO ხელშეკრულების“ შეცვლილი საფასურით გაგრძელებაზე.
- 5.4. „MVNO“ იღებს ვალდებულებას მოთხოვნისამებრ წარუდგინოს „მაგთიკომს“ საბანკო გარანტია ან/და ფულადი დეპოზიტი. ამ თანხის ოდენობასთან დაკავშირებული დეტალური აღწერილობა გაწერილი იქნება „MVNO ხელშეკრულებაში“.
- 5.5. იმ შემთხვევაში თუკი, „MVNO ხელშეკრულების“ მოქმედების პერიოდში „MVNO“-ს მიერ მიღებული მომსახურება 15%-ით გადააჭარბებს საპროგნოზო მონაცემს, „მაგთიკომი“ იტოვებს უფლებას მოსთხოვოს „MVNO“-ს მოახდინოს პროგნოზის ხელახალი გადაანგარიშება და წარუდგინოს „მაგთიკომს“ პროპორციულად გაზრდილი საბანკო გარანტია/დეპოზიტი „MVNO ხელშეკრულებით“ განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

6. ფასების ინდექსაცია

- 6.1. „ოფერტით“ გათვალისწინებული მომსახურების საფასური ექვემდებარება ფასების ინდექსაციას. „მაგთიკომი“ და „MVNO“ კეთილსინდისიერად აწარმოებენ მოლაპარაკებებს ფასების ინდექსაციის გონივრულ მექანიზმზე.

7. იმპლემენტაცია და იმპლემენტაციის საფასური

- 7.1. „მაგთიკომის“ სთავაზობს „MVNO კანდიდატს“ მის ქსელსა და სისტემაზე დაშვების 4 დონეს:
 - წვდომა, რომელიც შეზღუდულია მხოლოდ „მაგთიკომის“ პროგრამულ უზრუნველყოფასთან API-ს მეშვეობით. API-ს საშუალებით შესაძლებელია აბონენტის მომსახურებების (გამავალი/შემავალი ზარი, გამავალი/შემავალი სმს, ინტერნეტი) ჩართვა/გამორთვა. ანგარიშგების ურთიერთჩართვის მოწყობა, რომელიც უზრუნველყოფს „მაგთიკომის“ მხრიდან CDR-ების მიწოდებას „MVNO“-სთვის.
 - წვდომა „MVNO“-ს რეალურ დროში მომსახურების კონტროლის, მოკლე ტექსტური შეტყობინების ცენტრის და დამატებითი მომსახურების გამოყენებით სასიგნალო ინტერფეისებზე (ჩვეულებრივ, CAMEL ან/და MAP სიგნალიზაციით ან/და დიამეტრის ინტერფეისებით „მაგთიკომის“ DRA/STP-ის მეშვეობით MSC/IMS-სერვერებთან და GGSN-თან), რაც საშუალებას აძლევს „MVNO“-ს მოახდინოს საკუთარი საბილინგო ფუნქციების ოპერირება, „მაგთიკომის“ მიერ განხორციელებული ყველა მომსახურების მიწოდების

ფუნქციონალის გათვალისწინებით. ასევე ანგარიშგების ურთიერთჩართვის მოწყობა, რომელიც უზრუნველყოფს „მაგთიკომსა“ და „MVNO“-ს შორის CDR-ების მიმოცვლას;

- ტრაფიკის ურთიერთჩართვა „MVNO“-ს წვდომის (gateway) წერტილებზე (GGSN და Gateway-MSC), წინამდებარე მუხლში არსებული ურთიერთჩართვის გათვალისწინებით, რომელიც საშუალებას აძლევს „MVNO“-ს მიიღოს მისი მომხმარებლის მთელი ხმოვანი/მონაცემთა გადაცემის ტრაფიკი საკუთარ ინფრასტრუქტურაზე. ანგარიშგების ურთიერთჩართვის მოწყობა, რომელიც უზრუნველყოფს „მაგთიკომსა“ და „MVNO“-ს შორის CDR-ების მიმოცვლას;
- ტრაფიკის ურთიერთჩართვა სასიგნალო აგრეგაციის წერტილთან (DRA/STP), რომელიც საშუალებას აძლევს „MVNO“-ს მოახდინოს საკუთარი მობილური მომსახურებით ოპერირება და წვდომა ჰქონდეს „მაგთიკომის“ ქსელთან. ანგარიშგების ურთიერთჩართვის მოწყობა, რომელიც უზრუნველყოფს „მაგთიკომსა“ და „MVNO“-ს შორის CDR-ების მიმოცვლას;

წინამდებარე „ოფერტის“ დანართში მოცემულია ქსელური მოწყობილობების ზედა დონის აღწერილობა, რომელთაც გავლენა გააჩნიათ თითოეულ ქსელის არქიტექტურაში. დეტალური არქიტექტურა, როგორც ლოგიკურ, ასევე ფიზიკურ დონეზე, განისაზღვრება მოლაპარაკებების დროს და აისახება „MVNO ხელშეკრულებაში“. ინტერფეისი, რომელიც საშუალებას აძლევს „მაგთიკომს“ გაუზიაროს „MVNO“-ს, „MVNO“-ს მომხმარებლების მიერ გამოყენებული მომსახურებების შესახებ ინფორმაცია, ასევე უნდა განისაზღვროს „MVNO ხელშეკრულებით“.

- 7.2. „MVNO ხელშეკრულებაში“ უნდა იყოს მითითებული ტექნიკური იმპლემენტაციის სამუშაოები, რომელიც საჭიროა „მაგთიკომის“ ქსელზე საბითუმო წვდომის უზრუნველსაყოფად, მათ შორის „მხარეთა“ პასუხისმგებლობები და შეთანხმებული პროექტის გეგმა. „მაგთიკომს“ შეუძლია „MVNO“-ს დააკისროს იმპლემენტაციის ხარჯების გადახდა.

8. არადისკრიმინაციული ვალდებულებები

- 8.1. „მაგთიკომი“ უზრუნველყოფს „MVNO“-სათვის, „MVNO“-ს მომხმარებელთათვის იმავე ხარისხისა და დაფარვის მომსახურების მიწოდებას, როგორც ის აწვდის საკუთარ ბოლო მომხმარებელს და „მაგთიკომის“ ქსელში ჩართულ სხვა „MVNO“-ებს, მათ შორის, ტექნიკური სამუშაოების შედეგად მომსახურების შეჩერებასთან და საგანგებო სიტუაციებთან დაკავშირებით (მათ შორის, აღდგენითი სამუშაოები, განახლებები და ცვლილებები „მაგთიკომის“ ქსელში).
- 8.2. „მაგთიკომს“ უფლება აქვს მის ქსელში მართოს ტრაფიკის ნაკადი (მათ შორის, „MVNO“-ს მომხმარებლების ჩათვლით) ქსელის მთლიანობის შესანარჩუნებლად ან მომხმარებელთა მომსახურების გასაუმჯობესებლად კონკრეტულ ფიჭურ ზონაში. „მაგთიკომის“ მიერ მის მომხმარებლებზე შეთავაზებული მომსახურებების ნუსხის (პორტფელის) შემცირებამ შეიძლება, ასევე გამოიწვიოს შედარებითი შეზღუდვები „MVNO“-ს მიერ საკუთარი მომხმარებლისათვის შეთავაზებულ მომსახურებებზე, იმ პირობით, რომ „მაგთიკომი“ წინასწარ აცნობებს ამის შესახებ „MVNO“-ს 14 დღით ადრე.
- 8.3. ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, „მაგთიკომის“ მიერ, ნებისმიერი ახალი ტექნოლოგიისა თუ პროდუქტთან დაკავშირებული მისი ბოლო მომხმარებლისათვის გაკეთებული საცალო შეთავაზებები, რომელიც „მაგთიკომს“ შესთავაზა „MVNO“-ს „ოფერტის“ მე-2 მუხლის შესაბამისად და რომლებიც შესაძლოა „MVNO“-მ არ შესთავაზოს თავის მომხმარებლებს, არ მიიჩნევა არადისკრიმინაციული ვალდებულებების დარღვევად.
- 8.4. „მაგთიკომს“ უფლება აქვს განახორციელოს მონიტორინგი და ჩაატაროს „MVNO“-ს მომხმარებლების შიდა ანალიზები ქსელის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნისათვის, როგორც ამას უზრუნველყოფს საკუთარი მომხმარებლებისა და სხვა „MVNO“-ების მიმართ.

9. მონაცემები პროგნოზის შესახებ

- 9.1. „MVNO ხელშეკრულება“ უნდა ითვალისწინებდეს საპროგნოზო (სავარაუდო/მოსალოდნელ) მოთხოვნებს, რომელიც უნდა შემოიფარგლოს მინიმალური პირობებით ტევადობის ეფექტური მენეჯმენტის მიზნისათვის. „MVNO კანდიდატი“ ვალდებულია წარმოადგინოს პროგნოზი შესაბამისი მომსახურების კომერციულ გაშვებამდე.

- 9.2. თითოეული პროგნოზის შესახებ მონაცემებში მითითებული უნდა იყოს ხმოვანი ზარების მოცულობა (წუთები), მონაცემთა გადაცემა (მეგაბაიტები) და SMS ტრაფიკი (SMS შეტყობინებები), რომელიც სავარაუდოა, რომ ათვისებული იქნება „MVNO“-ს მომხმარებლების მიერ ყოველი კალენდარული 12 თვის პროგნოზით (შესაბამისი მომსახურების კომერციული გაშვებიდან).
- 9.3. ინფორმაცია 12 თვის მონაცემების პროგნოზის შესახებ წარმოადგენს „MVNO კანდიდატის“ მოთხოვნას შეისყიდოს მომსახურება და წარმოქმნის ვალდებულებას გადაიხადოს მომსახურების საფასური პროგნოზის შესაბამისად, მომსახურების ფაქტობრივი გამოყენების მიუხედავად.
- 9.4. „MVNO კანდიდატმა“ უნდა წარადგინოს შემდგომი 12 თვის მონაცემები პროგნოზი, მათ შორის MD&A დაგეგმილ პროგნოზთან და ფაქტობრივი შესრულების შესახებ, ყოველ ჯერზე წინა პროგნოზის შესახებ მონაცემების პერიოდის დასრულებამდე 90 დღით ადრე.
- 9.5. თუ „MVNO ხელშეკრულების“ გაფორმებამდე ან მისი მოქმედების განმავლობაში „მაგთიკომს“ მოუწევს ფინანსური ინვესტიციების განხორციელება ან/და რაიმე ხარჯის გაწევა „MVNO“-ს კონკრეტული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, „MVNO“-ს წინასწარ წერილობით ეცნობება ამის შესახებ და მიეთითება ინვესტიციის ან/და ხარჯების ის პროპორციული თანხა, რომელიც უნდა გაიღოს „MVNO“-მ.
- 9.6. „ოფერტის“ 9.5 პუნქტით განსაზღვრული შეტყობინების მიღებიდან 10 დღის ვადაში, „MVNO“: ა) ეთანხმება პროპორციული ინვესტიციის ან/და ხარჯის ოდენობას „MVNO“-ს მხრიდან და იხდის აღნიშნულ თანხას ან ბ) უარს აცხადებს პროპორციული ინვესტიციის განხორციელებაზე და შესაბამისი ცვლილებები შეაქვს საპროგნოზო მონაცემებში, რათა თავიდან იქნას აცილებული „მაგთიკომის“ მხრიდან რაიმე სახის ინვესტიციის განხორციელება.
- 9.7. „ოფერტის“ 9.5 პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინების მიღებიდან 10 დღის განმავლობაში „MVNO“-ს მხრიდან პასუხის მიუღებლობა, მიიჩნევა როგორც უარი პროპორციული ინვესტიციის განხორციელებაზე ან/და ხარჯის გაწევაზე და „მაგთიკომს“ უფლება ეძლევა თვითონ შეცვალოს საპროგნოზო მონაცემები იმგვარად, რომ თავიდან აიცილოს ინვესტიციების განხორციელება ან/და ხარჯის გაწევა.

10. „MVNO“-ს მომხმარებელთა შესახებ ინფორმაციასთან წვდომა და გამოყენება

- 10.1. იმდენად რამდენადაც „მაგთიკომის“ პერსონალს გააჩნია წვდომა „MVNO კანდიდატის“ ინფორმაციასთან, „მაგთიკომი“ უზრუნველყოფს რომ ამგვარი წვდომა გააჩნდეს მხოლოდ იმ პირებს, რომელთაც წვდომა სჭირდებათ „MVNO ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად.
- 10.2. „მაგთიკომი“ და „MVNO“ თანხმდებიან, რომ „MVNO“-ს მიერ „მაგთიკომისათვის“ მიწოდებული ინფორმაცია მომხმარებელთა შესახებ შემოიფარგლება მხოლოდ მომსახურების განსახორციელებლად მკაცრად განსაზღვრული საჭირო მიზნებისათვის. „MVNO“ ნებას რთავს „მაგთიკომს“ გამოიყენოს „MVNO“ მომხმარებლებთან დაკავშირებული ტრაფიკისა და ადგილმდებარეობის შესახებ მონაცემები და მიაწოდოს ასეთი მონაცემები მესამე პირებს, მხოლოდ იმ მოცულობით, რაც საჭიროა მართლზომიერი გადაჭერის, ბილინგის, ტევადობის მენეჯმენტის, ტრაფიკის მართვის, თაღლითობის შემთხვევების გამოვლენის, მარშრუტიზაციის, ფიჭის იდენტიფიცირებისათვის და სხვა ტექნიკური მიზნებისათვის, რომლებიც საჭიროა „MVNO“-სათვის საბითუმო დაშვების უზრუნველყოფისათვის ან სხვაგვარად, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულების ან კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს მითითებების შესასრულებლად.

11. ნუმერაციის რესურსი

- 11.1. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული „MVNO“-ს ნუმერაციის რესურსთან („MVNO“-ს მიერ გამოყენებული IMSI და MSISDN დიაპაზონები) დაკავშირებული მოთხოვნები შეთანხმდება და ჩამოყალიბდება „MVNO“ ხელშეკრულებაში“ და ის დამოკიდებული იქნება „MVNO“-ს საბოლოო ტექნიკურ გადაწყვეტაზე.
- 11.2. საკუთარი ბოლო მომხმარებლებისთვის მომსახურების მიწოდების მიზნით „MVNO“-ს შეუძლია გამოიყენოს მის სარგებლობაში არსებული ნუმერაციის რესურსი ან მოსთხოვოს „მაგთიკომს“ ნუმერაციის რესურსის სარგებლობაში გადაცემა. „მაგთიკომის“ მიერ ნუმერაციის რესურსით

სარგებლობის ნებართვის გადაცემის შემთხვევაში, „MVNO“ ვალდებულია გადაიხადოს შესაბამისი საფასური.

11.3. „მაგთიკომის“ მიერ „MVNO“-სთვის გადაცემული ნუმერაციის რესურსის დიაპაზონი უნდა იყოს არანაკლებ 5000 სააბონენტო ნომრისა.

12. კონფიდენციალურობა და მონაცემთა დაცვა

12.1. „MVNO“-ს მომხმარებლის მონაცემების (მათ შორის, ტრაფიკის და ადგილმდებარეობის მანიშნებელი მონაცემების) დამუშავებასთან დაკავშირებით, როგორც „მაგთიკომი“, ასევე „MVNO“ უნდა აკმაყოფილებდნენ მონაცემთა დაცვისა და კონფიდენციალობის შესახებ შესაბამის საკანონმდებლო მოთხოვნებს.

12.2. პერსონალური მონაცემების დამუშავება უნდა განხორციელდეს „MVNO ხელშეკრულების“ შესაბამის დანართში მითითებული პირობების შესაბამისად.

13. „მაგთიკომის“ ქსელის გამოყენება

13.1. „MVNO“ მიიღებს ყველა გონივრულ ზომას, რათა შეინარჩუნოს და დაიცვას „მაგთიკომის“ ქსელის სტანდარტები.

13.2. „MVNO“ იღებს ვალდებულებას, რომ მისი მოწყობილობა და აპარატურა, რომელიც გამოიყენება მისი ბოლო მომხმარებლებისთვის მომსახურების მიწოდებისთვის თავსებადი იქნება „მაგთიკომის“ მოწყობილობა/ქსელთან და არ დააზიანებს ან სხვაგვარად არ შეაფერხებს მათ ნორმალურ ფუნქციონირებას.

13.3. „MVNO“ ვალდებულია დააინსტალიროს/დააყენოს ისეთი მექანიზმები, რომლებიც შეძლებენ მობილური საკომუნიკაციო მომსახურებისას თაღლითური შემთხვევების და კიბერშეტევების ეფექტურად პრევენციას, გამოვლენას და მათზე რეაგირებას.

13.4. „MVNO“ კისრულობს ვალდებულებას:

- არ გამოიყენოს საბითუმო დაშვების მომსახურებები ან არ მისცეს რომელიმე მომხმარებელს ან სხვა მესამე პირს ისარგებლოს მომსახურებით ამორალური, უხამსი, საზიანო ან უკანონო მიზნით;
- არ დააკავშიროს ან არ დაუშვას რომელიმე მომხმარებლის ან სხვა მესამე პირის დაკავშირება „მაგთიკომის“ ქსელთან ნებისმიერი მობილური მოწყობილობით (იქნება ეს ტელეფონი, USIM ან სხვა მოწყობილობა), გარდა იმ შემთხვევისა, როცა ასეთი მოწყობილობა შეესაბამება საერთაშორისო ტექნიკური სტანდარტებს;
- მინიმუმ 10 დღით ადრე მიაწოდოს „მაგთიკომს“ ინფორმაცია ყველა დაგეგმილი UE (სააბონენტო აპარატურა)/CPE-ის (კლიენტის ტერიტორიაზე განთავსებული სატელეკომუნიკაციო მოწყობილობა) შესახებ, სანამ „MVNO“ გახდის ამ მოწყობილობას კომერციულად ხელმისაწვდომს;
- არ დააკავშიროს ან არ დაუშვას, რომ რომელიმე მომხმარებელმა ან სხვა მესამე პირმა მოახდინოს „MVNO“ SIM ბარათების დუბლირება (ერთი და იგივე IMSI-ით) ან მანიპულირება „MVNO“ SIM ბარათებზე როუმინგული თაღლითობის, მაღალფასიანი პრემიუმ მიმართულებების მომსახურების ბოროტად გამოყენების, SMS სპამის/გაყალბების, ურთიერთჩართვასთან დაკავშირებული, აბონენტის იდენტიფიცირების გაყალბების ან მსგავსი თაღლითობის გამოყენების გზით;
- არ დაუშვას, რომ რომელიმე მომხმარებელი ან სხვა მესამე პირი დაუკავშირდეს ან გააგრძელოს ნებისმიერი მოწყობილობის დაკავშირება, რომელიც საშუალებას იძლევა ურთიერთჩართვის საფასურის გვერდის ავლით განახორციელოს ზარები (GSM Gateway/სიმ ბოქსი) „მაგთიკომის“ ქსელში, „მაგთიკომის“ წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე;
- მონიტორინგი გაუწიოს იმ აქტივობებს, რაც მოიცავს თაღლითობას, ხელოვნურად გაზრდილ ტრაფიკს და უსაფრთხოების ნებისმიერ სხვა დარღვევას, რომელიც დაკავშირებულია „მაგთიკომის“ ქსელის გამოყენებასთან, მათ შორის, ნებისმიერი წვდომის უნებართვო გამოყენებასთან. „MVNO კანდიდატი“ ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს „მაგთიკომს“ ასეთი შემთხვევების შესახებ;

- დაიცვას უსაფრთხოების ნებისმიერი მოთხოვნები, რაც უკავშირდება „მაგთიკომის“ ქსელთან და სისტემებთან წვდომას და შეასრულოს „მაგთიკომის“ მიერ გაცემული ყველა ინსტრუქცია/მითითება საბითუმო წვდომის მომსახურებების გამოყენებასთან დაკავშირებით. დანერგოს ყველა საჭირო პროგრამული უზრუნველყოფა და დააინსტალიროს ის შესაბამისი მოწყობილობები, რომელიც უზრუნველყოფს კიბერუსაფრთხოების მაღალი სტანდარტების შესაბამისად „მაგთიკომის“ ქსელის დაცულობას. აღნიშნულ პროგრამულ უზრუნველყოფებსა და მოწყობილობებს უნდა გააჩნდეთ შესაბამისობის სერტიფიკატები და შესაბამისი ლიცენზიები და ტექნიკური მხარდაჭერა;
- არ გაავრცელოს რაიმე წინასწარ გადაუმოწმებელი/ყალბი ინფორმაცია „მაგთიკომის“ ქსელის შესახებ, არც შეცდომაში შეიყვანოს ან გააკეთოს შეცდომაში შემყვანი/მცდარი/ყალბი განცხადებები ან გარანტიები „მაგთიკომის“ ქსელთან დაკავშირებით;
- შეასრულოს „მაგთიკომის“ მიერ გაცემული ყველა მითითებები, რომლებიც გონივრულობის ფარგლებში აუცილებელია და დაეხმარება მას საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვაში;
- არ გამოიყენოს „მაგთიკომისაგან“ შექმნილი საბითუმო დაშვება იმ მომსახურებებთან ერთად, რომელიც მან შეიძინა სხვა მობილური ქსელის ოპერატორისგან საქართველოში (ყოველგვარი გაუგებრობის გამოსარიცხად ურთიერთჩართვის გარდა);
- არ გამოიყენოს „მაგთიკომის“ ქსელი იმგვარად, რომ საშუალება მიეცეს მესამე პირებს მიაწოდოს მობილური საკომუნიკაციო მომსახურება ბოლო მომხმარებლებს;
- არ შეეცადოს, რომ გაყიდოს მომსახურება ნებისმიერ ისეთ მომხმარებელზე, რომლის საცხოვრებელი ან საქმიანობის ადგილი მდებარეობს საქართველოს ფარგლებს გარეთ;
- არ იმოქმედოს იმგვარად, რაც გავლენას მოახდენს მომსახურების ხარისხზე ან გამოიწვევს სიგნალის დაფარვის შემცირებას „მაგთიკომის“ მომხმარებლებისთვის „MVNO“-ს მომხმარებლებთან შედარებით.
- არ მოსთხოვოს საქართველოში შემომავალ როუმერებს (სხვა ქვეყნის მომხმარებლები არაქართული მობილური ოპერატორის მიერ მიწოდებული SIM ბარათით) დაკავშირება მის მომსახურებებთან.
- არ დააკავშიროს ან შეგნებულად მისცეს უფლება მესამე პირებს დაუკავშირონ რაიმე სახის მოწყობილობა „მაგთიკომის“ ქსელს, გარდა „მხარეთა“ შორის შეთანხმებული მოწყობილობებისა.

13.5. ნებისმიერი სხვა სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოყენების შეზღუდვის გარეშე, რომელიც ხელმისაწვდომია „მაგთიკომისთვის“, ასევე, დამატებით სხვა უფლებებისა, რომელიც „მაგთიკომს“ შეიძლება ჰქონდეს „MVNO ხელშეკრულებით“, ზემოხსენებული ნებისმიერი შემთხვევის დადგომისას/პირობის შეუსრულებლობისას, „მაგთიკომს“ უფლება აქვს შეაჩეროს მომსახურების მიწოდება ან შეწყვიტოს „MVNO ხელშეკრულება“, ისევე როგორც მოითხოვოს აღნიშნული შემთხვევების შედეგად მიყენებული ნებისმიერი ზიანის (როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი) ანაზღაურება.

13.6. „მაგთიკომს“ შეუძლია შეუჩეროს ან შეწყვიტოს „MVNO“-ს მომხმარებელს მომსახურების მიწოდება, თუ მომხმარებელი იყენებს მოწყობილობებს ან სხვა აღჭურვილობას, რომლებიც არის ნაკლის მქონე ან კანონით აკრძალული ან არ შეესაბამება საერთაშორისო ტექნიკურ სტანდარტებს, მომხმარებელი იწვევს ტექნიკურ პრობლემებს „მაგთიკომის“ ქსელში, მომხმარებელი ეჭვმიტანილია თაღლითურ შემთხვევებში ან უნებართვოდ იყენებს მომსახურებას ან შეუძლებელია მისი, როგორც აბონენტის იდენტიფიცირება. მომსახურების შეჩერებამდე ანდა შეწყვეტამდე, „მაგთიკომი“ აცნობებს „MVNO“-ს ამის შესახებ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამგვარი წინასწარი შეტყობინება მიზანშეუწონელია ან გონივრულად შეუძლებელია. ასეთ შემთხვევებში „MVNO“-ს ინფორმირება მოხდება დაუყოვნებლივ ამ ფაქტის შემდგომ, შესაბამისი შესაძლებლობის გაჩენისთანავე.

13.7. „მაგთიკომს“ უფლება აქვს „MVNO“-ს მოსთხოვოს იმ SIM ბარათის დაბლოკვა, რომელიც გამოიყენება ზემოხსენებული აკრძალვების დარღვევით, ხოლო „MVNO“, თავის მხრივ, ვალდებულია გამოიკვლიოს ეს მოთხოვნა და დაბლოკოს შესაბამისი SIM ბარათი.

13.8. თუ „მაგთიკომს“ ან „MVNO“-ს ეჭვი გაუჩნდება „MVNO“-ს მიერ საბითუმო დაშვების შეთავაზების საფუძველზე მიწოდებულ მომსახურებებთან დაკავშირებულ რაიმე სახის თაღლითობაზე ან ამ მომსახურების ბოროტად გამოყენებაზე, ისინი დაუყოვნებლივ აცნობებენ ერთმანეთს და ითანამშრომლებენ კეთილსინდისიერად და გამოიყენებენ ყველა შესაბამის საშუალებას მყისიერად

მოახდინონ იდენტიფიცირება, თავიდან აიცილონ ან აღმოფხვრან თაღლითობა ან მომსახურების ბოროტად გამოყენება, რაც შეიძლება მოკლე ვადაში.

14. ინტელექტუალური საკუთრების უფლება და ბრენდინგი

- 14.1. ინტელექტუალური საკუთრების ყველა უფლება, რომელსაც ფლობს „მხარე“ ან მისი საკუთრებაა, რჩება ამ „მხარესთან“ ექსკლუზიურად.
- 14.2. ინტელექტუალური საკუთრების ყველა უფლება „მაგთიკომის“ სასაქონლო ნიშანზე და „მაგთიკომის“ ქსელზე რჩება „მაგთიკომის“ საკუთრებაში. „MVNO“-ს ეკრძალება „მაგთიკომის“ ბრენდით საკუთარი მომსახურებების ბრენდირება ან რეკლამირება ან „მაგთიკომის“ სახელწოდების ნებისმიერი ფორმით გამოყენება, თუ ეს პირდაპირ და ცალსახად არ იქნება წინასწარ ნებადართული თავად „მაგთიკომის“ მიერ.
- 14.3. ინტელექტუალური საკუთრების ყველა უფლება „MVNO“-ს სასაქონლო ნიშანზე წარმოადგენს „MVNO“ საკუთრებას.
- 14.4. „მხარეები“ ვალდებული არიან დაიცვან და შეასრულონ ყველა მარეგულირებელი კანონი, კანონქვემდებარე აქტი, რეგულაცია თუ წესი, მათ მიერ „MVNO ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ფარგლებში, მათ შორის, შესაძლო გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს ელექტრონული კომუნიკაციის შესახებ კანონმდებლობა.

15. ხელშეკრულების დანართები

- 15.1. „მხარეები“ შეთანხმდებიან ქვემოთ მოცემული (არასრული) დანართების შესახებ, რომელიც უნდა დაერთოს „MVNO ხელშეკრულებას“:
 - „მაგთიკომის“ მიერ „MVNO“-სთვის მიწოდებული მომსახურების ჩამონათვალი;
 - მომსახურებისთვის მოქმედი ტარიფები და კომერციული პირობები;
 - პროექტის მენეჯმენტი, იმპლემენტაციის გეგმა და მიღება;
 - პროგნოზირება და საპროგნოზო ფინანსური უწყისები;
 - ტექნიკური სპეციფიკაციები/ტრაფიკი;
 - შეთანხმება მომსახურების ხარისხის შესახებ (SLA);
 - ფინანსური უზრუნველყოფის ფორმა;
 - მმართველობა;
 - მოწყობილობის სტანდარტები;
 - ურთიერთჩართვის დეტალური სქემა, სადაც მითითებული იქნება წინასწარ შეჯერებული მონაცემები (HLD/LLD);
 - ელექტრონულ კომუნიკაციების სფეროში ინფორმაციის საიდუმლოების დაცვა/მოხსნა და მართლზომიერი გადაჭრა (LI);
 - მონაცემთა დამუშავების წესები.
- 15.2. „მხარეები“ გააფორმებენ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შესახებ შეთანხმებას, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობას და რომლის მიხედვით „მაგთიკომი“ იმოქმედებს როგორც უფლებამოსილი პირი და ხოლო „MVNO“ როგორც მონაცემთა დამმუშავებელი.
- 15.3. ტექნიკური იმპლემენტაცია დაიწყება მხოლოდ მას შემდეგ, რაც „მხარეები“ სრულად შეთანხმდებიან ზემო ხსენებულ დანართებზე და გააფორმებენ „MVNO ხელშეკრულებას“, თუ „მხარეთა“ მიერ სხვა რამ არ იქნება შეთანხმებული.

16. პასუხისმგებლობის შეზღუდვები და გარანტიები

- 16.1. „MVNO ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული შეზღუდვების გათვალისწინებით, „მხარეთა“ პასუხისმგებლობა რეგულირდება უშუალოდ „ოფერტით“, „MVNO ხელშეკრულებითა“ და საქართველოს კანონმდებლობით.
- 16.2. „MVNO ხელშეკრულება“ გაითვალისწინებს სტანდარტულ განცხადებებსა და გარანტიებს ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებული უფლებაუნარიანობისა და უფლებამოსილების შესახებ, „ოფერტის“ პირობებთან შესაბამისობის, ყველა საჭირო ნებართვის, რეგისტრაციის, ლიცენზიის და მარეგულირებელ კანონმდებლობასთან თავსებადობის შესახებ.

17. ვადა და შეწყვეტის პირობები

- 17.1. „MVNO ხელშეკრულების“ ძალაში შესვლისა და მისი მოქმედების კონკრეტული ვადა შეთანხმდება/დაზუსტდება „მხარეთა“ მიერ.
- 17.2. თითოეულ „მხარეს“ უფლება აქვს შეწყვიტოს „MVNO ხელშეკრულება“ არსებითი პირობების დარღვევის, გადახდისუუნარობის (ვალაუვალობის) შემთხვევების და ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში. „MVNO ხელშეკრულებაში“ განსაზღვრული სხვა გარემოებების გარდა, „MVNO ხელშეკრულების“ არსებითი პირობების დარღვევად ჩაითვლება „MVNO“-ს მიერ 2 (ორი) თვის ან მეტი ვადით მომსახურების საფასურის გადაუხდელობა. „MVNO ხელშეკრულების“ შეწყვეტის დამატებითი პირობები შეთანხმდება და გაიწერება „MVNO ხელშეკრულებაში“.
- 17.3. „MVNO ხელშეკრულებაში“ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ისეთ გარემოებებს, როგორიცაა „მხარეთა“ კონტროლის (მაკონტროლებელი პირები) ცვლილებები.

18. „ოფერტის“ ძალაში შესვლა, მარეგულირებელი კანონმდებლობა და იურისდიქცია

- 18.1. „MVNO ხელშეკრულება“ რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
- 18.2. „ოფერტა“ ძალაში შედის „მაგთიკომის“ ან „კომისიის“ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების დღიდან.

დანართი

MVNO-ს კატეგორიები

მსუბუქი მოდელის ვირტუალური ოპერატორი	<ul style="list-style-type: none"> მსუბუქი მოდელის ვირტუალური ოპერატორი უზრუნველყოფს მასპინძელი „მაგთიკომის“ მიერ შემოთავაზებული მომსახურების რეალიზაციას. იყენებს საკუთარი გაყიდვების არხებს და ასევე მომხმარებლებს პოტენციურად დამატებით სთავაზობს საკუთარ მომსახურებებს.
საშუალო მოდელის ვირტუალური ოპერატორი	<ul style="list-style-type: none"> საშუალო მოდელის (გაუმჯობესებული) ვირტუალური ოპერატორი მოქმედებს საკუთარი ბრენდით. MVNO იყენებს თავის სადისტრიბუციო არხებს და ფლობს მომხმარებელთა დიდ ბაზას, საიდანაც მას შეუძლია უზრუნველყოს რეალიზაცია, პასუხისმგებელია მომხმარებლის მხარდაჭერის და მომსახურების პროცესებზე (ანგარიშსწორება; ტარიფები, პაკეტები; აქციები, და ა.შ)
საშუალო მოდელის (გაუმჯობესებული) ვირტუალური ოპერატორი	
სრული მოდელის ვირტუალური ოპერატორი	<ul style="list-style-type: none"> სრული MVNO პასუხისმგებელია მთელ ინფრასტრუქტურაზე, ოპერაციებზე, მომხმარებლებზე და მომხმარებელთა სრულ მომსახურებაზე

„მაგთიკომსა“ და MVNO-ს შორის დემარკაციის წერტილები თითოეულ MVNO-ს ტიპზე

დემარკაციის წერტილები	HLR\HSS\AUC\PCRF	GMSC	GGSN	SMSC	SCP\IN\OCS	VAS	Billing	Sale & Distribution	Brand and Communication
მსუბუქი მოდელის ვირტუალური ოპერატორი	MAGTI							MVNO	
საშუალო მოდელის ვირტუალური ოპერატორი	MAGTI			MVNO					
საშუალო მოდელის (გაუმჯობესებული) ვირტუალური ოპერატორი	MAGTI	MVNO							
სრული მოდელის ვირტუალური ოპერატორი	MVNO								

აბრევიატურების სია

API	აპლიკაციის პროგრამული ინტერფეისი
AUC (Authentication Center)	აუტენტიფიკაციის ცენტრი
Billing	ანგარიშწორება
CAMEL (Customized Applications for Mobile Networks Enhanced Logic)	მობილური კავშირის ქსელების გაფართოებული ლოგიკის აპლიკაციები
CDR (Call Detail Recording)	(გამომახებების დეტალური რეგისტრაცია), ზარის დეტალური ჩანაწერი
CPE (Customer-Premises Equipment)	სააბონენტო მოწყობილობა
DRA/STP	Diameter მარშრუტიზაციის აგენტი/სასიგნალო გადაცემის პუნქტი
GGSN (Gateway GPRS Support Node)	GPRS წვდომის მხარდაჭერის კვანძი
GMSC (Gateway Mobile Switching Centre)	MSC წვდომის კვანძი
HLD/LLD (High Level Design/Low Level Design)	ზედა და ქვედა დონის დიზაინი
HLR/HSS (Home Location Register/Home Subscriber server)	მონაცემების ცენტრალიზებული ბაზა
IMS (IP Multimedia Sussystem)	IP მულტიმედია ქვებისტემა
IMSI (International Mobile Subscriber Identity)	აბონენტის უნიკალური საერთაშორისო იდენტიფიკატორი
IN (Intelligent Network)	ინტელექტუალური ქსელი
LI	მართლზომიერი გადაჭერა
MNO (Mobile Network Operator)	მობილური ქსელის ოპერატორი
MO (Mobile Originated)	მობილური ტერმინალის მიერ ინიცირებული
MSC/MSS (Mobile Switching Centre)	მობილური კავშირის მომსახურების საკომუტაციო ცენტრი
MSISDN (Mobile Station Integrated Services Digital Network)	მობილური სადგურის ციფრული ქსელი მომსახურების ინტეგრაციით
MT (Mobiloer Terminated)	მობილურ ტერმინალზე დასრულებული
MVNO (Mobile Virtual operator)	მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორი
OCS (Online Charging System)	რეალურ დროში ანგარიშგების სისტემა
P2P	ერთრანგიანი, პირინგული
PCRF (Policy and Charging Rules Function)	პოლისის და ანგარიშგების წესდების ფუნქცია
SCP	მომსახურებაკონტროლის პუნქტი
SIM (Subscriber Identity Module)	მოდული, რომელიც ახდენს მობილური ქსელის აბონენტის იდენტიფიცირებას.
SLA (service Level Agreement)	შეთანხმება მომსახურების ხარისხის შესახებ
SMS (Short Message Service)	მოკლე ტექსტური შეტყობინების მომსახურება
SMSC (Short Message Service Center)	მოკლე ტექსტური შეტყობინების ცენტრი
UE (user Equipment)	მომხმარებლის მოწყობილობა
USIM (Universal Subscriber Identity Module)	უნივერსალური SIM
VAS (Value Added Services)	დამატებითი მომსახურებები

ტერმინი, რომელიც პირდაპირ არ არის განმარტებული „ოფერტით“ განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.